საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1496-02
04/06/2018

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **ბიზნესის სკოლაში განათლების ეკონომიკის მიმართულებით პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე** გამოცხადებული კონკურსის შედეგის დამტკიცების შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი, მე-6 პუნქტის, 32-ე მუხლის და 33-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, 2018 წლის 6 მარტის წარმომადგენლობითი საბჭოს მე-2 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესის და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობების" საფუძველზე, რექტორის 2018 წლის 29 მარტის ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **ბიზნესის სკოლაში განათლების ეკონომიკის მიმართულებით პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე** კონკურსის გამოცხადების შესახებ" N715-02 ბრძანების, რექტორის 2018 წლის 29 მარტის N715-02 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, რექტორის 2018 წლის 22 მაისის N1359-02 ბრძანების საფუძველზე, 2018 წლის 30 მაისის N1435-02 ბრძანების საფუძველზე, აკადემიური საბჭოს 2018 წლის 21 მარტის N3 და 2018 წლის 29 მაისის N6 ოქმების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **ბიზნესის სკოლაში განათლების ეკონომიკის მიმართულებით პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე** გამოცხადებული კონკურსის თაობაზე აკადემიური საბჭოს 2018 წლის 29 მაისის N6 სხდომის გადაწყვეტილების მიხედვით არ გამოვლინდეს გამარჯვებული **განათლების ეკონომიკის მიმართულებით პროფესორის** აკადემიურ თანამდებობაზე.
2. კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა შემდეგი სტრუქტურებისათვის: ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახური, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახური, ბიზნესის სკოლა.
3. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საიტზე.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი